

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**  
**სამაგისტრო პროგრამა: რომანული ფილოლოგია**  
**კურიკულუმი**

<b>ფაკულტეტის დასახელება</b>	<b>მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი</b>
<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>რომანული ფილოლოგია</b>
<b>მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია</b>	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი რომანულ ფილოლოგიაში MA in Roman Philology
<b>პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა(სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)</b>	4 სემესტრი, 120 კრედიტი
<b>სწავლების ენა</b>	ქართული
<b>პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები</b>	მზალო დობტურიშვილი, პროფესორი, ემერიტუსი.
<b>პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი</b>	პროგრამა შემუშავდა 2011 და განახლდა 2022 წელს. პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)</b>	
<p>სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი და წერიტი გამოცდის საფუძველზე. აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგ მიმართულებებში: ჰუმანიტარული მეცნიერებები (02 ნებისმიერი მიმართულება), სოციალური მეცნიერებები (ჟურნალისტიკა და ინფორმაცია(032), სოციოლოგია და კულტურის კვლევები (0314), ინტერდისციპლინური (038)), განათლება(011).</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უნდა ფლობდეს ერთ-ერთ რომანულ ენას (ფრანგული, ესპანური, იტალიური) ენას B2 დონეზე.</li> </ul> <p>შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აპლიკანტმა უნდა დაწეროს სამოტივაციო ესე (აუდიტორიაში) ფრანგულ, იტალიურ ან ესპანურ ენაზე.</li> <li>• ზეპირი გამოცდა: გასაუბრება ერთ-ერთ რომანულ ენაზე.</li> </ul> <p>ინფორმაცია მისაღები გამოცდების პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ დეტალურად მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“ და თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე <a href="http://www.iliauni.edu.ge">www.iliauni.edu.ge</a> რუბრიკაში ”მიღება”.</p>	
<b>პროგრამის მიზნები</b>	
<p>რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია რომანული ფილოლოგიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება სამი რომანული ენიდან (ფრანგული, იტალიური, ესპანური) ერთ-ერთი ენის, რომანული ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის (მათ შორის პოსტკოლონიური) და კულტურის შესწავლის საფუძველზე შეძენილი სისტემური და სიღრმისეული ცოდნა, რაც განაპირობებს თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით დარგში არსებული აქტუალური საკითხების/პრობლემების კვლევას როგორც ერთი რომანული ენის ფარგლებში, ასევე შეპირისპირებით პლანში.</p>	
<b>სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)</b>	
<p>კურსდამთავრებული /კურსდამთავრებულს</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ავლენს კომუნიკაციურად ორიენტირებული ენათმეცნიერების - გამონათქვამის თეორიების, არგუმენტაციის თეორიების, პრაგმატიკის, სოციოლინგვისტიკის, ტექსტის ლინგვისტიკისა და დისკურსის ანალიზის - თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ღრმა და სისტემურ ცოდნას;</li> <li>2. კრიტიკულად აანალიზებს რომანული ლიტერატურის (ფრანგული და ფრანგულენოვანი/ფრანკოფონური, ესპანური და ესპანურენოვანი/ესპანოფონური, იტალიური)</li> </ol>	

<p>განვითარების ეტაპებს, ლიტერატურულ მიმდინარეობებს, ჟანრებს ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში;</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ავლენს სისტემურ ცოდნას თანამედროვე შედარებით და პოსტკოლონიურ ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების შესახებ;</li> <li>შეუძლია სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებისა და დისკურსების კრიტიკული შეფასება, სიღრმისეული ფილოლოგიური ანალიზი და სინთეზი; კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენება ლიტერატურათმცოდნეობის, ლინგვისტიკის და/ან კულტურის სფეროში არსებული აქტუალური საკითხების/პრობლემების შესასწავლად კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში;</li> <li>ფლობს ერთ-ერთ რომანულ (ფრანგულ/იტალიურ/ესპანურ) ენას C1 დონეზე;</li> <li>შეუძლია დამოუკიდებლად წარმართოს სწავლისა და კვლევის პროცესები, მათ შორის განსაზღვროს საკუთარი კომპეტენციების განვითარების საჭიროება, მოიძიოს და დაამუშაოს რელევანტური წყაროები/ლიტერატურა ერთ-ერთ რომანულ ენაზე;</li> <li>კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებული აკადემიური სტანდარტების შესაბამის ორიგინალურ სამაგისტრო ნაშრომს რომანული ენათმეცნიერების / ლიტერატურის / კულტურის მიმართულებით, მათ შორის შეპირისპირებით პლანში.</li> </ol>
--

**სწავლების მეთოდები**

<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია;</li> <li>• სემინარი;</li> <li>• ანალიზი და სინთეზი;</li> <li>• პრაქტიკული მეთოდი;</li> <li>• ელექტრონული და შერეული სწავლების ელემენტები;</li> <li>• დემონსტრირების მეთოდი;</li> <li>• დისკუსია/დებატები;</li> <li>• გონებრივი იერიში;</li> <li>• ჯგუფური მუშაობა;</li> <li>• შემთხვევის ანალიზი;</li> <li>• როლური და სიტუაციური თამაშები;</li> <li>• ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;</li> <li>• სუპერვიზია;</li> <li>• რეფლექსია.</li> </ul> <p>შენიშვნა: პროგრამის თითოეული კომპონენტის სილაბუსში და კონცეფციაში დაზუსტებულია გამოყენებული სწავლების მეთოდები.</p>
---

**პროგრამის სტრუქტურა**

<p><b>რომანულ ფილოლოგიაში</b> ჰუმანიტარული მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი შემდეგი სქემით:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი;</li> <li>2. სავალდებულო-არჩევითი კურსები - 48 კრედიტი;</li> <li>3. არჩევითი კურსები - არაუმეტეს 12 კრედიტი;</li> <li>4. სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.</li> </ol>
--

**შეფასების წესი**

<p>შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</li> <li>(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</li> <li>(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</li> <li>(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</li> </ul>
---

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპონენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

#### დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული მაგისტრანტი შესაძლოა დასაქმდეს

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- წარმართოს მთარგმნელ-თარჯიმნის საქმიანობა;
- ჩაერთოს საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ჰუმანიტარულ და სხვა პროექტებში;
- საგანმანათლებლო ორიენტაციის საერთაშორისო ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემათა რედაქციებში, მუზეუმებში, სარეკლამო სააგენტოებში, სხვადასხვა პროფილის დაწესებულებების პრეს-ცენტრებში;
- ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებებში;
- მიჰყვეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;
- პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს სადოქტორო საფეხურზე..

#### სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები;
- არგუსი; Turnitin და E-learning;
- აკადემიური წერის ცენტრი: <https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/>
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ენების ცენტრი;
- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი;
- სალექციო აუდიტორიები;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი რომანული ურთიერთგაგება. ინტერტექსტუალური დიალოგი;
- იტალიური ენისა და კულტურის ცენტრი;
- დანტე ალიგიერის საზოგადოება-თბილისის კომიტეტთან არსებული ბიბლიოთეკა;
- საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა;
- ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი;
- შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზები ფილოლოგიური კვლევების მიმართულებით.